სსსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

კრებული

№ 5—6 მაისი—ივნისი 1940 წ.

F 141
1940

შინაარსი

1. დადგენილება № 875—საქ. სახკომსაბჭოსი 2
2. ბრძანება № 1845—საზაფხულო არდადეგების პერიოდში საშემოდგომო განმეორებითი გამოცდა-მიცემულ მოსწავლეთათვის დახმარების გაწევის ორგანიზაციის შესახებ . . 4
3. ბრძანება № 1855—ა/ს საშუალო და საშ. სკოლების კურსის ექსტერნად დამთავრებისათვის საექსტერნო გამოცდების ჩატარების წესის შესახებ 5
4. ბრძანება № 1916 — დაუსწრებელთა საზაფხულო სესიების ჩატარების შესახებ 8
5. ბრძანება № 1796—სკოლამდელი აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ 9
6. სასკოლო მუშაობის აგეგმვა 11

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

განსახკომი
თბილისი—1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 875

დანართი ოქმისა № 15. მუხ. 5

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

17 მაისი 1940 წ.

სასკოლო ქსელის მოწესრიგებისა და დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების კლასების დაკომპლექტების შესახებ.

საქართველოს სსრ განსახკომის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ მთელ რიგ რაიონებში სასკოლო ქსელის განაწილება და კლასების დაკომპლექტება უმართებულოდ ხდება. მაგალითად: სოფელ ძველ გურჯაანში საშუალო სკოლის ახლადაშენებულ შენობაში მეცადინეობა ერთცვლად სწარმოებს და ეს იმ დროს, როდესაც ამ სკოლიდან სულ რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე მდებარე მოუწყობელ შენობაში მოთავსებულია დაწყებითი სკოლა, რომელიც ორცვლად მუშაობს. მოსწავლეთა მომსახურების რადიუსი და სათანადო შენობის არსებობა იძლევა ამ სკოლების გაერთიანების საშუალებას, რაც შეამცირებს ზედმეტ კლასებს და სკოლის შენახვის ხარჯებს და ამავე დროს გააუმჯობესებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხს ამჟამად დამოუკიდებლად არსებულ დაწყებითი სკოლის კლასებში; წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეშში არის ორი დაწყებითი სკოლა, ამასთან ამ სკოლებს შორის მანძილი ნახევარ კილომეტრს არ აღემატება და ორივე სკოლაში დატვირთვა საშუალოდ კლასზე 14 მოწაფეს უდრის.

სოხუმის პირველ რუსულ საშუალო სკოლაში მეხუთე კლასის 126 მოწაფეზე არის 5 პარალელური კლასი, მეშვიდე კლასის 114 მოწაფეზე—4 პარალელური კლასი და მერვე კლასის 66 მოწაფეზე—3 პარალელური კლასი; ქალაქ თბილისის 10 საშუალო სკოლაში გამოვლინებულია ზედმეტად გახსნილი 16 პარალელური კლასი.

ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს საქართველოს სსრ მთელ რიგ სხვა რაიონებშიც იმ დროს, როდესაც მოსწავლეთა მცირერიცხოვან კონტიგენტიანი პარალელური კლასების ერთგვარი შემჭიდროების დროს შეიძლებოდა კლასების რაოდენობის შემცირება საქმისათვის ზიანის მიუყენებლად, დაგვეზოგა მნიშვნელოვანი თანხები პედაგოგიური პერსონალის ხელფასის, აგრეთვე სწავლისა და სხვა ხარჯების მხრივ.

სასკოლო ქსელის მოწესრიგებისა და დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების კლასების სწორად დაკომპლექტების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან და რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან ერთად ა. წ. 1 ივნისიდან 1 ივლისამდე ჩაატარონ სასკოლო ქსელის განლაგების შემოწმება და გაერთიანონ ერთმანეთის მახლობლად მდებარე და ერთ შენობაში მოთავსებული დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლები, რომლებიც არ არიან დატვირთული მოსწავლეთა საკმაო რაოდენობით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას რაიო-

ნული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან ერთად ა. წ. 1 ივლისამდე დაამთავრონ იმ პარალელური კლასების გამოვლინება, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა მცირერიცხოვანია და ჩაატარონ მათი გაერთიანება 1940/41 სასწავლო წლიდან. დაევალოს ყველა სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგეებს შემდეგში პირადად უხელმძღვანელონ კლასების დაკომპლექტებას და არ დაუშვან პარალელური კლასების გახსნა მოსწავლეთა მცირე კონტიგენტით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განსახკომს, ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს განუხრელად განახორციელონ სათანადო დირექტივები საყოველთაო სავალდებულო სწავლების [illegible]ხებ, ამიერიდან გულმოდგინედ შეისწავლონ დაწყებითი სკოლების არასრულ საშუალო სკოლებად და არასრული საშუალო სკოლების საშუალო სკოლებად გადაკეთების აუცილებლობა, არ დაუშვან სასკოლო ქსელის ზედმეტად გაფართოება და ისეთი პარალელური კლასების გახსნა, სადაც მოსწავლეთა კონტიგენტი უმნიშვნელოა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაკრაძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მართველი ი. რუხაძე

ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 15.

заседания СНК Грузинской ССР от 17 мая 1940 г. № 872.

2. О льготах по оплате взносов за содержание детей в детских семьям граждан, мобилизованных в ряды Краснай Армии.

Совет Народных Комиссаров Грузинской ССР постановляет:

1. В тех случаях, когда семья мобилизованного в Красную Армию получает пособие на основании указа Президиума Верховного Совета СССР от 10 октября 1939 года «о порядке назначения и выплаты пособий семьям военнослужащих, рядового и младшего начальствующего состава в военное время», и жена мобилизованного не работает— освободить указанные семьи от уплаты взноса за содержание детей в детских садах.

2. Если семья мобилизованного в Красную Армию получает пособие на основании вышеуказанного указа Президиума Верховного Совета СССР и жена мобилизованного работает, плата за содержание детей в детских садах должна взиматься только с суммы заработка, получаемого женой мобилизованного. Пособие, полуачемое семьей мобилизованного, в сумму заработка не включается.

Председатель СНК ГССР В. БАКРАДЗЕ.
Управделами СНК ГССС И. РУХАДЗЕ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1845

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 20 მაისს.

საზაფხულო არდადეგების პერიოდში საშემოდგომო განმეორებითი გამოცდა-მიცემულ მოსწავლეთათვის დახმარების გაწევის ორგანიზაციის შესახებ

შემოწმებით დადასტურებულია, რომ ზაფხულის პერიოდში გამოცდა-მიცემულ მოსწავლეებს სკოლისა და მასწავლებლების მხრივ არ ეწევათ არავითარი დახმარება ჩამორჩენილობის გამოსასწორებლად, ამ საქმეში არ არიან ჩაბმული მოსწავლეთა მშობლები, კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციები. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საშემოდგომო გამეორებითი გამოცდებზე უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეები მოუმზადებელი ცხადდებიან, ან სრულიად არ ცხადდებიან. 27 რაიონის მასალის მიხედვით 1939 წ. საშემოდგომო გამეორებითი გამოცდები მიეცა 30.643 მოსწავლეს, გამოცდებზე არ გამოცხადდა 5446 მოსწავლე, გამოცდები ვერ ჩააბარა და დატოვებულიქნა იმავე კლასში 11.992 მოსწავლე. ეს ფაქტები ზოგიერთი ჩვენი სკოლის უვარგის მუშაობაზე ლაპარაკობს.

საშემოდგომო გამოცდა-მიცემულ მოსწავლეებისათვის ზაფხულის პერიოდში დახმარების უზრუნველსაყოფად **ვბრძანებ:**

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა 20 ივნისამდე ჩაატარონ დირექტორებისა, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მშობელთა კომიტეტების რაიონული თათბირი, თათბირზე დამუშავებულ იქნას ღონისძიებანი ზაფხულის განმავლობაში გამოცდა-მიცემულ მოსწავლეთათვის დახმარების საქმეში მშობელთა კომიტეტებისა და მშობელთა მონაწილეობის შესახებ და მიიღონ ზომები ამ ღონისძიებათა გატარების უზრუნველსაყოფად.

2. სკოლის დირექტორმა (გამგეებმა) მასწავლებლების მონაწილეობით სასწავლო წლის დამთავრებისას ჩაატარონ ჩამორჩენილ მოსწავლეთა მშობლების საერთო კრება, სადაც დაშუშავდეს კონკრეტული ღონისძიებანი გამოცდა-მიცემულ მოსწავლეებისადმი ზაფხულის პერიოდში დახმარების საქმეში მშობლების მონაწილეობის შესახებ.

3. მასწავლებლებმა ჩამორჩენილ მოსწავლეებს თავიანთ სასწავლო დისციპლინაში მისცენ ახსნა-განმარტებანი და კონკრეტული მითითებანი ზაფხულის პერიოდში გავლილ მასალის განმეორების შესახებ და ჩამორჩენილ მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გაზრდის გზით მიაღწიონ იმას, რომ თითოეული ჩამორჩენილი მოსწავლე მთელი თავისი შეგნებით და მონდომებით ემზადებოდეს საშემოდგომო გამოცდების წარმატებით ჩაბარებისათვის.

საშემოდგომო გამოცდა-მიცემულ მოსწავლეთა მშობლებს შორის ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა და მიაღწიონ იმას, რომ:

ა) თითოეულ გამოცდა-მიცემულ მოსწავლეს გააჩნდეს ყველა საჭირო პირობა (საოჯახო საქმიდან განტვირთვა, სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფა) მეცადინეობის ნორმალურად წარმოებისათვის;

ბ) მოსწავლე განსაზღვრულ დროში სისტემატურად მეცადინეობდეს იმ სასწავლო დისციპლინაში, რომელშიაც ის ჩამორჩება;

გ) 1-9 კლასების და საგნების იმ მასწავლებლებთა, რომლებიც ადრე ამთავრებენ მუშაობას სკოლაში, შვებულებაში წასვლამდე დახმარება გაუწიონ განსაზღვრულ საათებში მეცადინეობის გზით საშემოდგომო გამოცდა-მიცემულ მოსწავლეებს, დირექ-

ტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა გაუწიონ ხელმძღვანელობა მასწავლებლებს მოსწავლეთათვის დახმარების ორგანიზაციის სწორად მოწყობის საქმეში.

4. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) პედსაბჭოს სხდომებზე განიხილონ ეს ბრძანება გამოცდა-მიცემულ მოსწავლეებისათვის ზაფხულის პერიოდში დახმარების გაწევის შესახებ და დახმარების ფორმების გამონახვის გზით უზრუნველჰყონ საშემოდგომო გამოცდებისათვის ამ მოსწავლეთა საფუძვლიანი მომზადება.

5. კლასის ხელმძღვანელებმა ზუსტად შეისწავლონ თავიანთი კლასის გამოცდა-მიცემულ მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა ზაფხულის პერიოდში, მეცადინეობის პირობები და შვებულებაში წასვლამდე მშობელთა კომიტეტებთან ერთად უზრუნველჰყონ ამ მოსწავლეთათვის დახმარების სწორი ორგანიზაცია.

6. სკოლის დირექტორმა (გამგემ) გამოცდა-მიცემულ მოსწავლეთათვის დახმარების საკითხი დასვან კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების წინაშე, რათა პიონერხელმძღვანელებმა და კომკავშირელ მასწავლებლებმა, სოციალისტური შეჯიბრის გაშლის საფუძველზე, მიიღონ ვალდებულება ზაფხულის პერიოდში ჩამორჩენილ მოსწავლეებისათვის დახმარების გაწევის უზზუნველყოფის შესახებ.

7. ქობულეთის, კოჯორის, ქვიშხეთის, პიონერთა ბანაკის დირექტორებმა აღრიცხონ ბანაკში მიღებულ მოსწავლეთა შორის საშემოდგომო გამოცდა-მიცემულ მოსწავლეები და მოაწყონ საჭირო სასწავლო დისციპლინებში მათი მეცადინეობა.

8. განათლების განყოფილების გამგეებმა შეამოწმონ, თუ როგორ ეხმარებიან სკოლები და მშობლები მოსწავლეებს საშემოდგომო გამოცდების მზადების საქმეში და საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინონ მათ სათანადო დახმარება.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 10 მაისის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახალხო
კომისარი ბ. კიკნაძე

ბრძანება № 1855

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 21 მაისს.

ა/სრ. საშუალო და საშუალო სკოლების კურსის ექსტერნად დამთავრებისათვის საექსტერნო გამოცდების ჩატარების წესის შესახებ.

იმ მიზნით, რომ ავადმყოფობისა და სხვა მიზეზების გამო სკოლის გარეშე დარჩენილ მოქალაქეებს მიეცეს საშუალება ა/ს საშ. და საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის (მოწმობის) მიღებისა—„დაწყებითს, ა/სრ. საშუალო და საშუალო სკოლაში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისა და შინაგანი განწესრიგების შესახებ“ სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1935 წლის 3 სექტემბრის დადგენილების (მუხლი II) საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. ავადმყოფობისა და სხვა მიზეზებით სკოლის გარეშე დარჩენილ მოქალაქეთათვის, რომელთაც სურთ მიიღონ ა/ს საშუალო და საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატები (მოწმობა), ა/ს საშუალო და საშ. სკოლის კურსის ფარგლებში—შემოღებულ იქნას სპეციალური (საექსტერნო) გამოცდები.

2. საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში საექსტერნო გამოცდები ჩატარდეს წელიწადში ორჯერ: იანვარსა (5—20 რიცხვებში) და ივნისში (10—25 რიცხვებში).

3. საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში საექსტერნო გამოცდებზე დაშვებულ იქნას საქ. სსრ მოქალაქენი 18 წლის ასაკის ზევით, რომელნიც ავადმყოფობისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო დარჩენილი არიან სკოლის გარედ და სურთ საშ. სკოლის დამთავრების ატესტატის მიღება. კატეგორიულად აიკრძალოს საშ. სკოლების. მოზრდილთა საშ. სკოლების, პედსასწავლებლებისა, სპეციალურ ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური საშ. სასწავლებლების კურსდამთავრებულ მოსწავლეთა დაშვება საექსტერნო გამოცდებზე.

4. საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში საექსტერნო გამოცდები ჩატარდეს: ქალაქ თბილისსა და ქუთაისში.

5. საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში საექსტერნო გამოცდების ჩატარებისათვის ქ. თბილისსა და ქუთაისში შეიქმნას საექსტერნო საგამოცდო კომისიები განსახკომის საშ. სკოლების სამმართვ. უფროსის ხელმძღვანელობით.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხ. ოსეთის ა. ო. საგამოცდო კომისიების ჩამოყალიბება დაევალოს სათანადო განსახკომებს და განათლების განყოფილებას.

6. საექსტერნო გამოცდები, როგორც ა/ს საშ. ისე საშუალო სკოლის კურსზე ჩატარდეს გამოსაცდელ პირთა მშობლიურ ენაზე.

7. საექსტერნო გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულ იქნას საშ. სკოლის კურსის ფარგლებში საქ. სსრ განსახკომის მიერ (აფხაზეთის, აჭარის და სამხრ. ოსეთის—სათანადო განსახკომებისა და საოლქო გან. განყოფილების მიერ), ხოლო ა/ს საშ. სკოლის ფარგლებში—სახ. განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ.

8. ნება დაერთოს ავტონომიური რესპ. განსახკომებს და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის გან. განყოფილებას 1940 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების დროს გაითვალისწინოს საჭირო ხარჯები საექსტერნო გამოცდების მოსაწყობად. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს შემდეგი წლისათვის საჭირო თანხები გაითვალისწინოს როგორც საქ. სსრ განსახკომის, ისე აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებისა და სამხრ. ოსეთის საოლქო განათლების, საქალაქო და სარაიონო განყოფილების ბიუჯეტში.

9. საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში გამოცდები ჩატარდეს შემდეგ საგნებში: 1) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირში), 2) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 3) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 4) ალგებრაში (წერა ან ზეპირი), 5) გეომეტრიაში (წერა და ზეპირი), 6) ტრიგონომეტრიაში (ზეპირი), 7) ისტორიასა და კონსტიტუციაში (ზეპირი), 8) ფიზიკასა და ასტრონომიაში (ზეპირი), 9) ქიმიაში (ზეპირი), 10) ბუნებისმეტყველებაში (ზეპირი), 11) გეოგრაფიაში (ზეპირი), 12) გეოლოგიამინერალოგიაში (ზეპირი), 13) უცხო ენაში (ზეპირი) და 14) სამხედრო საქმეში (ზეპირი).

10. იმ პირთ, რომლებიც საშუალო სკოლის ფარგლებში საექსტერნო გამოცდებზე ყველა საგანში მიიღებენ შეფასებას (ნიშანს) არა ნაკლებ „საშუალოსი“, საექსტერნო-საგამოცდო რესპუბლიკური კომისიის (აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთში ადგილობრივი კომისიების) გადაწყვეტილების თანახმად მიეცემათ საშუალო სკოლის ექსტერნად დამთავრების ატესტატი კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელის მოწერითა და სათანადო განსახკომის ბეჭდის დასმით, სამხ. ოსეთის ავტ. ოლქში—საოლქო განათლების განყოფილების ბეჭდის დასმით ხოლო იმათ, ვინც ყველა საგანში მიიღებს შეფასებას (ნიშანი) არა ნაკლებ „ფრიადისა“, მიეცემათ განსაკუთრებული ატესტატი (საფრიადოსნო) უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ შესვლის უფლებით.

11. დაწესდეს, რომ იმ პირთ, რომლებიც, ორზე მეტ საგანში მიიღებენ შეფასებას (ნიშანს) „ცუდს“ ან ძლიერ „ცუდს“, არ შეიძლება მიეცეს საშუალო სკოლის ექსტერნად დამთავრების ატესტატები. ასეთი პირები საექსტერნო გამოცდებზე ხელმეორედ დაშვებულ იქნან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ საერთო წესის მიხედვით, ხოლო იმ პირთ, რომელნიც გამოცდებზე მიიღებენ „ცუდ“ შეფასებას (ნიშანს) არა უმეტეს ორი საგნისა, მიეცეთ საშუალება ამ საგნის ხელმეორედ ჩაბარებისა, გამოცდების დამთავრებიდან ორი თვის ვადაში და მათ მიეცეს საშუალო სკოლის ექსტერნად დამთავრების ატესტატი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საგნებში მიიღებენ ნიშანს (შეფასებას) არა ნაკლები „საშუალო“-სი.

12. ა/ს საშ. სკოლის კურსის ფარგლებში საექსტერნო გამოცდების ჩატარებისათვის თითოეულ რაიონის (ქალაქის) სახ. განათლების განყოფილებასთან განგანყ. გამგის თავმჯდომარეობით შეიქნას ა/სრ. საშ. სკოლის ფარგლებში საექსტერნო გამოცდების ჩამტარებელი რაიონული (საქალაქო) კომისია.

13. ა/სრ. საშ. სკოლის ფარგლებში საექსტერნო გამოცდებზე დაშვებულ იქნან ავადმყოფობისა და სხვა საპატიო მიზეზებით სკოლის გარეშე დარჩენილი ასაკგადაცილებული მოქალაქეები 15-დან 30 წლამდე) აიკრძალოს ა/ს საშ. სკოლის მოსწავლეთა დაშვება საექსტერნო გამოცდებზე.

14. ა/ს საშ. სკოლის კურსის ფარგლებში გამოცდები ჩატარდეს შემდეგ საგნებში: 1) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 2) რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), 3) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 4) ალგებრასა და არითმეტიკაში (წერა და ზეპირი), 5) გეოგრაფიაში (ზეპირი), 6) ისტორიასა და კონსტიტუციაში (ზეპირი) 7) ფიზიკაში (ზეპირი) 8) ბუნებისმეტყველებაში (ზეპირი) 9) გეომეტრიაში (ზეპირი), 10) ქიმიაში (ზეპ.) და 11) უცხო ენაში

15. იმ პირებს, რომლებიც ა/ს საშ. სკ. ფარგლებში საექსტერნო გამოცდებზე ყველა საგანში მიიღებენ შეფასებას (ნიშანს) არანაკლებ „საშუალოსი“, მიეცეს ა/ს საშ. სკოლის ექსტერნად დამთავრების მოწმობა, რაიონულ (საქალაქო) საექსტერნო-საგამოცდო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელის მოწერითა და სახ. განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილების ბეჭდის დასმით.

16. იმ პირებს, რომლებიც ორზე მეტ საგანში მიიღებენ შეფასებას (ნიშანს) „ცუდს“ — ან „ძლ. ცუდს“ არ მიეცეს მოწმობა და ისინი ხელმეორედ დაშვებულ იქნან გამოცდებზე, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ; ხოლო იმათ, რომლებიც გამოცდებზე „ცუდ“ შეფასებას (ნიშანს) მიიღებენ არა უმეტეს ორი საგნისა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საგანს განმეორებით გამოცდაზე ჩააბარებენ და მიიღებენ შეფასებას (ნიშანს) არანაკლებ „საშუალო“, მიეცეს ა/ს საშ. სკ. ექსტერნად დამთავრების მოწმობა.

17. დაევალოს საშუალო სკოლისა და ა/ს საშ. სკოლის კურსის ფარგლებში საექსტერნო გამოცდების ჩამტარებელ კომისიების თავმჯდომარეებს, როგორც პირველად, ისე განმეორებითი გამოცდების ჩატარების შედეგები გააფორმონ კომისიის სხდომებზე, კომისიის ყველა წევრის ხელისმოწერით და ოქმის დედნები შეინახონ სათანადოდ დაცულ ადგილზე, ხოლო ასლები საექსტერნო გამოცდების ჩატარების შედეგებზე წერილობითი მოხსენებასთან ერთად წარმოუდგინონ საქ. განსახკომს ექსტერნად კურსდამთავრებულთათვის სათანადო მოწმობებისა და ატესტატების ბლანკების მისაღებად.

18. ა/ს საშუალო და საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში საექსტერნო გამოცდების ჩატარების მიმდინარეობაზე სისტემატურ-მეთვალყურეობა-ხელმძღვანელობა დაეკისროს განსახკომის მოადგილეს ამხ. ბ. კიზირიას.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი
ბ. ძიძნაძე

ბრძანება № 1916

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 25 მაისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთა საზაფხულო სესიების ჩატარების შესახებ.

იმ მიზნით, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს დაუსწრებელთა საზაფხულო სესიები: უზრუნველყოფილ იქნას სესიებზე ყველა დაუსწრებელთა გამოცხადება, ლექცია-კონსულტაციებისა და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის ნორმალურად ჩატარება, სესიებზე ჩამოსულ დაუსწრებელთა სათანადო საყოფაცხოვრებო-კულტმომსახურეობა და საერთოდ მიღწეულ იქნას საზაფხულო სესიებზე სტუდენტების აკადემიური მომზადების მაღალი მაჩვენებლები, **ვბრძანებ:**

1. უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებების საზაფხულო სესიები ჩატარდეს ა/წ 25 ივნისიდან 31 ივლისამდე.

2. დაევალოს უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელ სექტორების გამგეებს დროზე აცნობონ დაუსწრებლებს: სესიების ჩატარების დრო და ადგილი, სესიების სასწავლო გეგმა, სასესიო გამოცდებისა და ჩათვლების ვადები და წესი.

3. განათლების განყოფილებათა გამგეებმა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მიიღონ ყველა საჭირო ზომა დაუსწრებელთა სესიებზე უკლებლივ გამოცხადების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც: გაათავისუფლონ სესიებზე გამოწვეული მასწავლებლები ყოველგვარი მუშაობისაგან სესიების პერიოდში, დროზე მისცენ მათ ხელფასი და პირადად შეამოწმონ მათი გამოცხადება.

4. თბილისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. არ. გიორგაძემ გამოჰყოს ორი სასკოლო შენობა, არა ნაკლებ 50 საკლასო ოთახისა, დაუსწრებელთა ლექცია-კონსულტაციებისა და პრაქტიკული ლაბორატორიული მუშაობის ჩასატარებლად სესიების პერიოდში, ე. ი. ა/წ 25 ივნისიდან 31 ივლისამდე; ხოლო ქ. ქუთაისის და სოხუმის პედინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებათა აუდიტორიებითა და კაბინეტ-ლაბორატორიებით უზრუნველყოფა სესიების პერიოდში დაეკისროს პედინსტიტუტის დირექტორებს ამხ. ჭელიძეს და ამხ. არ. დარახველიძეს.

5. სესიებზე ჩამოსულ დაუსწრებელთათვის გამოიყოს სათანადო რაოდენობის საწოლები ქ. თბილისში სტუდენტთა ქალაქში პირადად ამხ. ვაშაკიძის პასუხისმგებლობით, ქუთაისში და სოხუმში კი პედინსტიტუტების საერთო საცხოვრებლებში პედინსტიტუტების დირექტორების პასუხისმგებლობის ქვეშ. სტუდენტთა ქალაქის დირექციას და პედინსტიტუტების საერთო საცხოვრებელთა გამგეებს ვავალებ გაუწიონ სათანადო საყოფაცხოვრებო და კულტმომსახურეობა საერთო საცხოვრებლებში მოთავსებულ დაუსწრებლებს. ხარჯები, დაკავშირებული ამ დაუსწრებელთა საერთო საცხოვრებლებში მოთავსებასთან, გაღებულ იქნას დაუსწრებელ განყოფილებათა ბიუჯეტიდან.

6. დაუსწრებელ პედგანყოფილებათა გამგეებმა მიიღონ საჭირო ზომები და უზრუნველჰყონ სესიების სასწავლო გეგმების ზუსტად შესრულება, ლექცია-კონსულტაციების, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის და გამოცდების მტკიცე ცხრილით ჩატარება, დაუსწრებელთა შორის კულტმასობრივი მუშაობის გაშლა და მათი სათანადო საყოფაცხოვრებო მომსახურება.

7. განსახკომის საგეგმო საფინანსო სამმართველომ გაითვალისწინოს სესიების ხარჯები: სამგზავრო, შვებულების, კომპენსაცია, პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასი

და სხვა, და დროზე გაუხსნას სათანადო კრედიტები უმაღლეს სასწავლებლებს.

8. უმაღლეს სკოლების სამმართველომ, საგეგმო საფინანსო სამმართველოსთან ერთად, დაამუშაოს სამგზავრო ხარჯებისა და გამოუყენებელი შვებულების ნაცვლად ფულადი კომპენსაციის გაცემის წესი და წარმოადგინოს დასამტკიცებლად ხუთი დღის ვადაში.

9. უმაღლეს სკოლების სამმართველომ განიხილოს და დაამტკიცოს დაუსწრებელ განყოფილებათა სესიების ჩატარების გეგმები და გაუწიოს ოპერატიული ხელმძღვანელობა სესიების ჩატარების საქმეს.

10. სესიების შედეგები შეჯამდეს და განხილულ იქნას კოლეგიის სხდომებზე ა/წ აგვისტოს პირველ რიცხვებში.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 19 მაისის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახალხო
კომისარი Ბ. ᲙᲘᲥᲜᲐᲫᲔ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ № 1796

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲘᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ

1940 წელი 16 მაისს

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲛᲔᲗᲝᲓᲣᲠᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

აღინიშნოს, რომ სკოლამდელთა აღზრდის სამეცნიერო მეთოდურმა კაბინეტმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 10-იანვრის დადგენილების საფუძველზე გარდაქმნა თავისი მუშაობა: დამუშავებულია 20-დე მეთოდური მითითება, დამზადებულია გამოსაცემად მეცნიერული სახის ორი შრომა, შეგროვილია მხატვრული მასალები—ლექსები და მოთხრობები, როგორც პოლიტიკურ დღესასწაულებთან, აგრეთვე წელიწადის სეზონებთან დაკავშირებით, რაც გაფორმებულია ალბომად. ჩატარებულია ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. შესწავლილია 27 რაიონის სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებანი, რომელთაც გაეწია ადგილებზე პრაქტიკული დახმარება და სხვ.

კაბინეტის მუშაობას ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს:

1. კაბინეტის მუშაკების მიერ არ ხდება საბავშვო ბაღების პრაქტიკული მომუშავეების და ხელმძღვანელი მუშაკების-ინსპექტორების და მეთოდისტების მუშაობის გამოცდილების სათანადოდ შესწავლა და განზოგადება. ზოგიერთი დაგროვილი მასალები საბ. ბაღების მუშაობის გამოცდილების სახით, მაგ. „დაკვირვება აბრეშუმის ჭიაზე“, „ექსკურსია საბავშვო ბაღში“, და სხვა სუსტი ხარისხისაა, არ არის მოცემული მუშაობის მთლიანი პროცესი, არ სჩანს რა მეთოდებით აღწევს აღმზრდელი მუშაობაში საუკეთესო შედეგებს, აგრეთვე არ ხდება რაიონების საბავშვო ბაღების შესწავლის შედეგების განზოგადება და საბავშვო ბაღებამდე დაყვანა.

2. კაბინეტს დღემდე არა აქვს შემოღებული სემინარების, მოხსენებების და ლექციების ჩატარების პრაქტიკა სკოლამდელთა აღზრდის ხელმძღვანელ მუშაკებთან, როგორც სკოლამდელი ბავშვთა აღზრდის, ისე პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის საკითხებზე.

3. რესპუბლიკის რაიონებში არ არის ჩამოყალიბებული სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა აქტივი.

4. სკოლამდელთა აღზრდის მუშაკების წერილობით შეკითხვებზე პასუხის გაცემის საქმე არ არის სათანადოდ მოგვარებული,

არ ხდება შეკითხვების შინაარსის აღრიცხვა ბების მიცემით, გამოკვლევის მასალების
და მათი შესწავლა.

5. საბავშვო ბაღის სახელმძღვანელოს მიხედვით გაფორმებული განაყოფები კაბინეტში: ფიზიკური აღზრდა, მუსიკალური აღზრდა და მათემატიკა ღარიბია მეთოდური მითითებებით. საბავშვო ბაღების მუშაობის გამოცდილებით და აგრეთვე ისეთი ლიტერატურით, რომელიც დაეხმარება სკოლამდელთა აღზრდის მუშაკებს ზოგად განვითარების საქმეში.

6. არ არის დამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა პედ. სასწავლებლებთან არსებულ სკოლამდელთა აღზრდის განყოფილებებზე.

სუსტია მუშაობა მწერლებთან სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ლიტერატურის შექმნისათვის.

7. კაბინეტში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული სამეცნიერო მეთოდური საბჭო.

8. იშვიათად თავსდება მეთოდური მასალები ჟურნალებში: „კომუნისტური აღზრდისათვის", „Дошк. воспитание" და გაზეთ „საბჭოთა მასწავლებელში", აგრეთვე არ არის გამოყენებული რადიო სკოლამდელთა აღზრდის საკითხებზე მეთოდური და მხატვრული მასალების გადაცემისათვის.

9. კაბინეტს არა აქვს მჭიდრო კავშირი სკოლამდელთა აღზრდის სამმართველოს ქვემდებარე დაწესებულებებთან—სკოლამდელთა აღზრდის დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების კვლევითი სამეცნიერო ლაბორატორიასთან და სათამაშოების მუზეუმთან.

ზემოაღნიშნულისა გამო **ვბრძანებ:**

1. სკოლამდელთა აღზრდის სამეცნ. მეთოდ. კაბინეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, როგორც საბ. ბაღების, ისე ხელმძღვანელი მუშაკების—ინსპექტორების და მეთოდისტების მუშაობის გამოცდილებათა შესწავლას, მის განზოგადებასა და საბავშვო ბაღებამდე დაყვანას.

2. გააძლიეროს მეთოდური ხელმძღვანელობა რაიონების საბ. ბაღებზე: ადგილებზე მუშაობის შესწავლით, მეთოდური მითითებების მიცემით, გამოკვლევის მასალების განზოგადებით, მათი ადგილებზე დაყვანით და სხვა.

3. რესპუბლიკის რაიონებში ჩამოყალიბდეს სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა აქტივი და წარიმართოს მათთან გეგმიანი მუშაობა.

4. მოწესრიგდეს შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის საქმე; შემოღებულ იქნეს შეკითხვების შინაარსის მოკლე აღრიცხვა შეკითხვების შესწავლის საფუძველზე კაბინეტმა გააღრმაოს თავისი მუშაობა.

5. „საბავშვო ბაღის სახელმძღვანელოს" მიხედვით გაფორმებული განაყოფები კაბინეტში ფიზიკური აღზრდა, მუსიკალური აღზრდა და მათემატიკა შეივსოს მეთოდური მასალებით, საბ. ბაღების მუშაობის გამოცდილებით და შესაფერისი ლიტერატურით.

6. სისტემატურად ხდებოდეს კაბინეტის მიერ წარჩინებულ სკოლამდელთა მუშაკების გამოცდილებათა შესწავლა-განზოგადება, ამავე დროს მათი დახმარების მიზნით ტარდებოდეს ლექციები და კონსულტაციები სკოლამდელთა აღზრდის, პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის საკითხებზე.

7. შრომები: „მხატვრული თხრობა საბ. ბაღში" „ორნამენტისა და მხატვრული აღქმის თავისებურება სკოლამდელ ასაკში", გადაეცეს სახელგამს გამოსაცემად.

8. ჩამოყალიბდეს სამეცნიერო მეთოდური საბჭო, რომლის შემადგენლობა დამტკიცებულ იქნას კოლეგიის მიერ.

9. სისტემატურად გაშუქდეს პრესაში სკოლამდელთა აღზრდის საკითხები, გამოქვეყნებული იქნეს რადიო, მეთოდური და მხატვრული მასალების გადაცემისათვის, მიზიდული იქნას მწერლები სკოლამდელთა აღზრდის ლიტერატურის შექმნისათვის.

10. დამყარდეს მჭიდრო კავშირი სკოლამდელთა დიდაქტიკური მასალებისა და სათამაშოების კვლევითი სამეცნიერო ლაბორატორიასთან და სათამაშოების მუზეუმთან.

საქ. სსრ განათლების სახალხო
კომისარი ბ. ქიქნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1853

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 21 მაისს

1. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია „სასკოლო მუშაობის აგებგმვის“ შესახებ — დამტკიცდეს.

2. დაევალოს დაწყებით და საშუალო სკოლის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტს უზრუნველჰყოს აღნიშნული ინსტრუქციის გამოცემა 1 აგვისტომდე ცალკე წიგნად.

3. დაევალოს დაწყებით და საშუალო სკოლების სამმართველოებს მეთვალყურეობა გაუწიონ აღნიშნული ინსტრუქციის დროულად გამოცემას და ადგილებზე დაყვანას.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი
გ. კიკნაძე

სასკოლო მუშაობის აგებგმვა

სასკოლო მუშაობის ყველა დარგის აგებგმვა უნდა მოხდეს საბჭოთა სკოლის მიზნებისა და სკოლის წინაშე მდგარ უახლოეს ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლისა და ამ საქმეში სკოლის მთელი კოლექტივისა და ფართო საზოგადოებრიობის, განსაკუთრებით მშობლების, ჩაბმა-დარაზმვის ნიშნის ქვეშ. სასკოლო მუშაობის აგებგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის წინა წელში მიღწეული შედეგები. წინა წელში მოპოვებულ წარმატების განმტკიცება და ჩამორჩენა-ნაკლოვანებათა აღმოფხვრა სასკოლო მუშაობის აგებგმვის ერთერთ ამოსავალსა და ამასთანავე ამოცანასაც უნდა წარმოადგენდეს. აგებგმვისას ანგრიში უნდა გაეწიოს აგრეთვე იმ კონკრეტულ პირობებს, რომელშიაც უხდება მუშაობა სკოლასა და მასწავლებელს; დასახული უნდა იქნეს ისეთი ღონისძიებანი, რომელთა გატარება უზრუნველჰყოფს მუშაობის პირობების გაუმჯობესებას სკოლის წინაშე მდგარ ამოცანების საუკეთესოდ გადასაწყვეტად.

I. ძირითადი მოთხოვნილებანი, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის გეგმები

სასკოლო მუშაობის გეგმები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნილებებს:

1. გეგმა უნდა იყოს კონკრეტული,—ღონისძიებანი დასახული უნდა იყოს მუშაობის ყველა ძირითადი საკითხის გათვალისწინებით, შესასრულებელი სამუშაო გაპიროვნებული უნდა იყოს პასუხისმგებელ შემსრულებელზე, განსაზღვრული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა (მაჩვენებლებში).

2. გეგმა უმდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული,—შესრულების საკითხები განრიგებული უნდა იყოს თანმიმდევრულად სამუშაოს ხასიათისა და ვადების მიხედვით; გეგმა უნდა იყოს სრული და ყველა შესაძლებლობის ამომწურავი.

3. გეგმა უნდა იყოს მოქნილი, ოპერატიული,—განტვირთული ყველა ზედმეტ მრავალსიტყვიანობისაგან; საკითხები ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ იგი იძლეო-

დეს სწრაფი ორიენტირების შესაძლებლობას;

4. სკოლის მუშაობის სხვადასხვა დარგის გეგმებში დაცული უნდა იქნეს ერთიანი ხაზი,—შეთანხმებულობა, ურთიერთდამოკიდებულება, მუშაობის სწორი განაწილება, სწორი ორგანიზაცია და სხვ.

5. გეგმა უნდა იყოს სასკოლო მუშაობის ყველა უბანზე სოციალისტური შრომის მეთოდების დანერგვის ყოველმხრივ ხელისშემწყობი, — შესასრულებელი საკითხების დასმა, მუშაობის განაწილება და მისი ორგანიზაცია, გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მოწყობა და სხვ., გეგმით ისე უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ იგი უზრუნველყოფდეს შრომის სოციალისტური ფორმებისა და მეთოდების ფართოდ გამოყენებას, პედაგოგიურ გამომგონებლობას, შრომის რაციონალიზაციას და სხვ. ამავე დროს სოცშეჯიბრების სწორი ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს გეგმების მაღალხარისხობრივად შესრულების საუკეთესო საშუალებას.

6. გეგმა შინაარსეულად და სტრუქტურულად ისე უნდა იყოს გაფორმებული, რომ იგი ექვემდებარებოდეს როგორც მიმდინარე, ისე განსაზღვრულ პერიოდისათვის (თვის, სასწ. წლის მეოთხედის, წლის) შემოწმების, კონტროლის და მუშაობის დაჯამების მოთხოვნილებებს.

II. სკოლასა და მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი გეგმები

1. სკოლის წლიური სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმა;

2. სკოლის დირექტორის (გამგის) და მოადგილის სამუშაო **გეგმა სასწავლო მეოთხედების მიხედვით.**

3. მასწავლებლებს:

ა) წლიური კალენდარული გეგმა სასწავლო მეოთხედების მიხედვით;

ბ) სამუშაო გეგმა თემის მიხედვით—თემატიკური გეგმა;

გ) გაკვეთილის გეგმა.

4. კლასის ხელმძღვანელს:

სამუშაო გეგმა მეოთხედის მიხედვით.

5. მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციებსა (საშ. სკოლაში) **და წრეებს** (სკოლასტკე) სამუშაო გეგმები სასწავ. წლ. მეოთხედების მიხედვით.

6. მშობელთა კომიტეტს:

ა) სამუშაო გეგმა სასწ. წლის მეოთხედების მიხედვით;

ბ) კლასების მიხედვით არჩეულ რწმუნებულთა სამუშაო გეგმა სასწ. წლის მეოთხედის მიხედვით.

სკოლის წლიური სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმა საბოლოოდ ფორმდება აგვისტოს ბოლოს, მას იხილავს და ამტკიცებს სკოლის პედაგოგიური საბჭო.

კლასის ხელმძღვანელისა და მასწავლებელთა წლიური კალენდარული გეგმები წინასწარ იხილება სასწ. ნაწილის გამგის მიერ და მისი დასკვნით წარედგინება სკოლის დირექტორს დასამტკიცებლად. მშობელთა კომიტეტის გეგმას იხილავს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

კლასების მიხედვით არჩეულ მშობელთა კომიტეტის რწმუნებულის მუშაობის გეგმას იხილავს სასკოლო კომიტეტის თავმჯდომარე კლასის ხელმძღვანელთან ერთად და უდგენს დასამტკიცებლად სკოლის დირექტორს.

III. სკოლის წლიური გეგმის სტრუქტურა შინაარსი და ფორმა.

სკოლის წლიური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სტრუქტურის მიხედვთ:

შესავალი,

1. სკოლის შინაგანაწესი და რეჟიმი.

2. სკოლის დაკომპლექტება და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელება სკოლის მომსახურეობის ტერიტორიაზე.

3. სკოლის სასწავლო — მეთოდური მუშაობა,

4. სამხედრო-თავდაცვითი და ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელი მუშაობა.

5. პედაგოგიური საბჭოს მუშაობა.

6. კლასის ხელმძღვანელის მუშაობა.

7. კომკავშირის, პიონერ-ორგანიზაციის და სასკოლო ორგანიზაციების მუშაობა.

8. მშობელთა შორის მუშაობა.

9. მასწავლებლის საზ. პოლიტიკური, მეცნიერულ-პედაგოგიური და მეთოდური მომზადების დონის ამაღლება და პედაგოგიური დახელოვნება.

10. კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა.

11. სოციალისტური შეჯიბრება.

12. სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობა.

13. სკოლის სანიტარულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა.

14. სკოლის ორგანიზაციულ-სამეურნეო მუშაობა.

თითეულ ნაწილში შემდეგი საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული:

შესავალი,—სკოლის მუშაობის გამოცდილებანი წინა სასწავლო წელში (მიღწევებისა და ნაკლის მოკლე დახასიათება), სკოლის მუშაობის პირობების ზოგადი ანალიზი, სკოლის წინაშე მდგარი ამოცანები საანგარიშო სასწ. წლისათვის (მუხლობრივად ჩამოთვლა გეგმის სტრუქტურული ნაწილების მიხედვით);

1. სკოლის შინაგანაწესი და რეჟიმი, — ღონისძიებანი სასკოლო დისციპლინისა და რეჟიმის განმტკიცებისათვის სკოლასა და კლასში, ფუნქციების განაწილება სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის, სასკოლო დოკუმენტების წარმოება (ჟურნალები, მოსწავლეთა და მასწავლ. პირადი საქმეები, მოსწავლეთა დღიურები, სკოლის დღიურები), პედაგოგიური დატვირთვის განაწილება მასწავლებელთა შორის, კლასის ხელმძღვანელების გამოყოფა, სამეცადინო ცხრილის დამუშავება და მისი შესრულების სისტემატური შემოწმება, კრებების რეგლამენტაცია, კლასგარეშე მუშაობის რეჟიმის დაცვა, მასწავლებელთა შორის დისციპლინის განმტკიცება, მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება მოსწავლეთა შორის შინაგანაწესის და სასკოლო რეჟიმის დაცვისათვის.

2. სკოლის დაკომპლექტება და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელება სკოლის მომსახურეობის ტერიტორიაზე,—სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა სკოლის მომსახურეობის ტერიტორიაზე და მათი ჩაბმა სკოლის შესაფერის კლასებში, თითოეული კლასის რაოდენობის განსაზღვრა და მისი დაკომპლექტება დებულების საფუძველზე, სკოლის კურსდამთავრებულთა (დაწყებითი ან არასრული საშუალო სკოლის) სწავლის გაგრძელებისათვის სათანადო ღონისძიებების გატარება, ღონისძიებანი განთესვის წინააღმდეგ.

3. სკოლის სასწავლო-მეთოდური მუშაობა, — მასწავლებელთა მიერ კალენდარული და თემატიკური გეგმების შედგენა და მათი შესრულების შემოწმება (პროგრამების შესრულება ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების დარგში, გაკვეთილის ორგანიზაცია და მეთოდიკა ცალკე საგნების მიხედვით, საშინაო დავალებათა ორგანიზება, მოსწავლეთა ცოდნის შეფასება მეოთხედების ბოლოს, წლიური მუშაობის აღრიცხვა) ურთიერთ გამოცდილებათა გაზიარება, ორწლიანობასთან და აკადემიურ ჩამორჩენილობასთან ბრძოლა, პოლიტექნიკური სწავლების დაყენება და მოსწავლეთა მომზადება მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა, სასწავლო მუშაობა ოჯახში, საგნობრივი კომისიების და მეთოდური კომისიების მუშაობის კალენდარული გეგმის დამუშავება და ამ გეგმის შესრულების შემოწმება, სხვა სკოლებთან კავშირი, კავშირის დამყარება რაიონის მეთოდურ კაბინეტთან მასწავლებელთა დახელოვნებისა და დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტებთან და სხვ.

4. სამხედრო თავდაცვითი და ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელი მუშაობა: ღონისძიებანი სამხედრო საქმისა და ფიზკულტურის სწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის, საწრეო მუშაობა სამხედრო ხაზით და ფიზკულტურაში სკოლაში, სკოლის გარეშე მუშაობა ფიზკულტურასა და სამხედრო ხაზით.

5. პედაგოგიური საბჭოს მუშაობა,—პედაგოგიური საბჭოს მოწვევის რაოდენობისა და ვადების განსაზღვრა, წლის განმავლობაში პედსაბჭოზე განსახილველი ძირითადი საკითხები (იხ. დებულება პედაგოგიური საბჭოს შესახებ).

6. კლასის ხელმძღვანელის მუშაობა,—კლასის ხელმძღვანელების გეგმების შედგენა და მათი შესრულების შემოწმება, ინსტრუქტაჟის ორგანიზაცია კლასის ხელმძღვანელებისათვის, კლასის ხელმძღვანელთა თათბირების ჩატარება (რამდენჯერ, რა ვადებში), კლასის ხელმძღვანელების ანგარიში პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე (რამდენჯერ, როდის), კლასის ხელმძღვანელების მიერ სხვა სკოლის კლასის ხელმძღვანელთა გამოცდილების გაზიარების ორგანიზაცია.

7. კომკავშირის, პიონერ-ორგანიზაციისა და სასკოლო ორგანიზაციების მუშაობა, — კომკავშ. ორგანიზაციის და კომკავშირის ორგანიზატორის გეგმების დამუშავებაში სკოლის მონაწილეობა, პიონერ-ორგანიზაციის მუშაობის გამაუმჯობესებელი ღონისძიებანი, ღონისძიებანი მოსწავლეთა ორგანიზაციების სისტემატური მუშაობისათვის, პიონერ-ხელმძღვანელებისადმი დახმარების გაწევა (სემინარი და სხვ.), კულტ. მასობრივი მუშაობა; საღამოებისა და კრებების (რამდენჯერ, როდის) მოწყობა, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის ღონისძიებათა გატარება, მოსწავლეთა საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობის ორგანიზაცია, ექსკურსიები (რამდენი, სად, როდის), კლასის ხელმძღვანელის მუშაობის ფორმები ამ დარგში (კომკავშირის და პიონერთა კოლექტივის ორგანიზაციებს აქვთ თავიანთი სამუშაო გეგმები, შედგენილი კომკავშირის წესდებისა და რაიონული კომიტეტის მითითებების საფუძველზე, მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაცია (სტაროსტები) სკოლის დირექციისა და კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით აგრეთვე ადგენს მუშაობის გეგმას მეოთხედების მიხედვით).

8. მშობელთა შორის მუშაობა,—მშობელთა კომიტეტის მუშაობის გეგმის განხილვა და მის შესრულებაზე კონტროლი, მშობელთა საერთო კრებების, მშობელთა კომიტეტების და მათი რწმუნებულთა კრებების, სხდომების და თათბირების ჩატარების ვადები (თემატიკა განისაზღვრება მშობელთა კომიტეტის გეგმით), პედაგოგიური პროპაგანდა მშობელთა შორის, მშობელთა კომიტეტთან მუშაობა, კლასის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების ინდივიდუალური მუშაობა მშობლებთან (იხ. დებულება მშობელთა კომიტეტის შესახებ).

9. მასწავლებელთა საზ.—პოლიტიკური, მეცნიერული, პედაგოგიური და მეთოდური მომზადების დონის ამაღლება და პედაგოგიური დახელოვნება,—საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეთოდურ პედაგოგიური მომზადების დონის ამაღლების მიზნით მოწყობილ ლექციებზე მასწავლებლების დასწრების უზრუნველყოფა. კონსულტაციები, ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაცია, დაუსწრებელ ინსტიტუტში ჩაბმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სისტემაში ჩაბმა და სხვ.

10. კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა, — მასობრივ-პოლიტ - აღმზრდელობითი მუშაობის გეგმის დამუშავება-დამტკიცება და შესრულების ხელმძღვანელობა. ზოგადსაგანმანათლებლო, მხატვრული, ფიზკულტურული, სამხედრო თავდაცვითი, ტექნიკური და სხვადასხვა სახის წრეების ჩამოყალიბება, მათი გეგმების განხილვა-დამტკიცება და შესრულების ხელმძღვანელობა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის აღზრდის ღონისძიებანი, რევოლუციურ დღესასწაულების ჩატარების ღონისძიებანი, ანტირელიგიური აღზრდის დარგში კლასგარეშე ჩასატარებელი ღონისძიებანი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე კითხვის ორგანიზაცია, არდადეგების ჩატარების ორგანიზაცია, სკოლის გარეშე მუშაობისათვის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა (პიონერთა სასახლის, კლუბების და სხვ.) გამოყენება და მუშაობის ორგანიზაციის ღონისძიებანი, ღონისძიებანი ბავშვთა მოცალეობის ორგანიზაციისათვის (თეატრები,

კინოები და სხვ.), მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ორგანიზაცია, ბავშვთა ტექნიკურ და აგრობიოლოგიურ სადგურებში მოსწავლეთა სასწავლო-პრაქტიკული მუშაობის ორგანიზაცია.

11. სოციალისტური შეჯიბრება,—შეჯიბრების ორგანიზაციის ღონისძიებანი, სოცშეჯიბრება კლასებს შორის, მოსწავლეთა შორის, მასწავლებელთა შორის, სოცშეჯიბრება სკოლასთან, ხელშეკრულებათა შესრულებისათვის და შემოწმებისათვის ღონისძიებათა გატარება სკოლის პროფესიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად.

12. სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობა, --- ბიბლიოთეკის ლიტერატურით შევსების ღონისძიებანი (რამდენი სახელწოდების წიგნი იქნება შეძენილი, რა თანხის და სხვ.), ღონისძიებანი კლასგარეშე კითხვის გაუმჯობესებისათვის, ბიბლიოთეკის მუშაობის გეგმის განხილვა დამტკიცება და მისი შესრულების შემოწმება (რამდენჯერ, როდის).

13. სკოლის სანიტარულ გამაჯანსაღებელი მუშაობა,—პროფილაქტიური, სანიტარულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო ღონისძიებანი, სკოლის ექიმის მუშაობის გეგმის განხილვა-დამტკიცება და შესრულების სისტემატური შემოწმება, საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

14. სკოლის ორგანიზაციულ-სამეურნეო მუშაობა, — სკოლის ხარჯთაღრიცხვა, კაბინეტების, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკისა და სხვ. მოწყობილობაზე თანხების განაწილება, სკოლის შენობისა და ინვენტარის რემონტი, ახალი მშენებლობა, ინვენტარის შეძენა (რის, რა თანხის ფარგლებში), სკოლის ქონების ინვენტარიზაცია, სასკოლო საქმეებისა, სასკოლო დოკუმენტებისა და საქმიანი ქაღალდების წარმოება, სკოლის ეზოს მოვლა, კულტურების გაშენება სასკოლო მიწის ნაკვეთზე. მეოთხედური და წლიური ანგარიშების შედგენა და წარდგენა ზემდგომ ორგანოებში, ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი გეგმის შედგენა და ამ გეგმის შესრულების ღონისძიებათა გატარება და სხვ.

სკოლის წლიური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმის შინაარსის აქ ჩამოთვლილ საკითხებში სკოლას შეუძლია მის წინაშე მდგარ კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებით ზოგიერთ საჭირო ცვლილებანი შეიტანოს (მოცემული სტრუქტურის დაცვით).

გეგმის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ გეგმაში არა უბრალო ჩამოთვლის წესით შევა აქ დასახელებული საკითხები, არამედ თითოეული საკითხი და ამ საკითხის შესრულებისათვის დასახული ღონისძიებანი ფორმულირებული უნდა იქნეს გეგმის სტილზე.

მაგ. „თითოეულ სასწავლო დისციპლინაში წლიური სამუშაო გეგმის შედგენა და მისი დამტკიცება“, „ქიმიის ლაბორატორიის შევსება 2.000 მანეთის ღირებული ხელსაწყოებით და 300 მანეთის რეაქტივებით“.

„არდადეგების ჩატარების საერთო სასკოლო გეგმის შედგენა-დამტკიცება, შესრულების მიმდინარეობის შემოწმება 2-ჯერ“ (მითითება ვადაზე).

სკოლის წლიური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა შედგენილ უნდა იქნეს შემდეგი ფორმის მიხედვით:

№№ რიგზე	შესასრულებელი საკითხები	ვადა		შემსრულებელი	შესრულების მიმდინარეობის აღნიშვნა	შენიშვნა:
		დაწყ.	დამ.			
I	1					
	2					
	3					
	ა. შ.					
II	1					
	2					
	3					
	ა. შ.					
III	1					
	2					
ა. შ.	3					
	ა. შ.					

რომაული ციფრის გასწვრივ იწერება გეგმის ძირითადი განყოფილებები, ხოლო არაბულის,—ამ განყოფილების მიხედვით შესრულებული საკითხები.

გეგმას საბოლოოდ ამტკიცებს სკოლის პედაგოგიური საბჭო.

IV. სასწავლო მეოთხედებში სკოლის დირექტორის (გამგის) და მოადგილის მუშაობის გეგმის სტრუქტურა, შინაარსი და ფორმა.

სკოლის წლიური სასწ. აღმზრდელობითი მუშაობის გეგმის საფუძველზე დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ადგენენ მუშაობის გეგმას სასწავლო მეოთხედების მიხედვით. ამ გეგმის სტრუქტურა და საკითხთა თანმიმდევრობა იგივეა, რაც წლიური გეგმისათვის, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ საკითხები უფრო კონკრეტულ ღონისძიებადაა დაშლილი და ზუსტადაა გათვალისწინებული შესრულების ვადა. მეოთხედური გეგმების თავის დროზე შესრულებამ უნდა უზრუნველყოს სკოლის წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულება.

დირექტორისა და მოადგილის სამუშაო გეგმები მეოთხედების მიხედვით წარმოადგენენ ამავე დროს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმებს მეოთხედების მიხედვით.

დირექტორისა და მისი მოადგილის სამუშაო გეგმა (მეოთხედური) ჩამოყალიბებული უნდა იქნეს შემდეგი ფორმით:

№№ რიგზე	შესასრულებელი საკითხები	ვადა		შემსრულებელი	შესრულების მიმდინარეობის აღნიშვნა	შენიშვნა:
		დაწყ.	დამ.			
I						
1						
2						
3						
ა.შ.						
11						

შენიშვნა: მეოთხედების გეგმის საფუძველზე და აგრეთვე სკოლის ცხოვრებაში წამოჭრილ ახალ საკითხების გათვალისწინებით დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე სასურველია ადგენდნენ მუშაობის შვიდდღიურ გეგმას დაახლოებით შემდეგი სახით:

დღეები	შესასრულებელი საკითხები	შესრულების აღნიშვნა
ორშაბათი	1 2 3	
სამშაბათი	1 2 3	
ოთხშაბათი	1 2 3	

დღეები	შესასრულებელი საკითხები	შესრულების აღნიშვნა
ხუთშაბათი	1 2 3	
პარასკევი	1 2 3	
შაბათი	1 2 3	

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. კლასის ხელმძღვანელის მუშაობის გეგმის სტრუქტურა, შინაარსი და ფორმა

კლასის ხელმძღვანელის დამოკიდებულება ბავშვებისადმი უნდა იყოს გულისხმიერი და სანიმუშო, რაც წარმოადგენს აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენების აუცილებელ წინამძღვარს. კლასის ხელმძღვანელის გეგმაც სწორედ ამ მოთხოვნათა გათვალისწინების საფუძველზე უნდა იქნეს აგებული; ამ გეგმის განხორციელებით კლასის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველჰყოს მოსწავლეში შეგნებული დისციპლინის, კომუნისტური მორალის, სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიის ბელადებისა და ხელისუფლების მეთაურებისადმი, დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულის აღზრდა.

კლასის ხელმძღვანელის მუშაობის გეგმის ძირითადი ნაწილებია:

1. ბავშვთა კოლექტივის ორგანიზაცია.
2. ღონისძიებანი წარმატების აღმავლობისათვის და სოცშეჯიბრება.
3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა.
4. მშობლებთან მუშაობა,
5. სკოლის გარეშე მუშაობა.
6. ორგანიზაციული მუშაობა.

1. ბავშვთა კოლექტივის ორგანიზაცია,— მოსწავლეთათვის სკოლის შინაგანაწესისა და მოსწავლეთა მუშაობის (სკოლაში და სკოლის გარეთ) რეჟიმის გაცნობა, მოსწავლეთა შესწავლა, მოსწავლეთა ორგანიზაცია სწავლების პროცესში, მოსწავლეთა მორიგეობის ორგანიზაცია, მოსწავლეთა სტაროსტისა და მის თანაშემწის არჩევნების ჩატარება, დასწრების აღრიცხვა, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გამოტოვებისა და დაგვიანების მიზეზების შესწავლა და გაცდენების სრული აღმოფხვრის ღონისძიებათა გატარება, მოსწავლის დღის რეჟიმის დაკვირვება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, კლასის გარეგნული გაფორმება.

2. ღონისძიებანი წარმატების აღმავლობისათვის და სოცშეჯიბრება,—მოსწავლეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელობა, საშინაო დავალებების შემოწმება და დავალებათა სისტემატურად მაღალხარისხობრივად შესრულების მიღწევა, წარმატების შეფასების აღრიცხვა, ჩამორჩენილობის მიზეზების გამორკვევა და მისი აღმოფხვრისათვის სისტემატურ ღონისძიებათა გატარება, დღიურების და მასში ჩანაწერების ხარისხის შემოწმება და სწორი ჩანაწერების წარმოების უზრუნველყოფა, მშობელთა ხელისმოწერის (დღიურებში) შემოწმება.

3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა,—საუბრებისა და აღმზრდელობითი ხასიათის ლიტერატურის კითხვის ორგანიზაცია, მოსწავლეებისათვის ბელადების და

საბჭოთა კავშირის გმირების ბიოგრაფიების გაცნობა, (თემატიკური კალენდარული გეგმის მიხედვით), კლასში გაზეთზე მუშაობის ორგანიზაცია, სკოლის საერთო გეგმის საფუძველზე რევოლუციურ დღესასწაულების ჩატარება კლასში, მოხსენებების მოწყობა საერთაშორისო საკითხებზე კომკავშირსა და პიონერორგანიზაციებთან ერთად.

4. მშობლებთან მუშაობა, — მოსწავლის ყოფაცხოვრების პირობების გაცნობა, მშობელთა საკლასო კრებების მომზადება და ჩატარება, ინდივიდუალური საუბრების ჩატარება მშობლებთან, მშობელთა აქტივის ჩაბმა კლასის მუშობაში.

5. სკოლის გარეშე მუშაობა,—ღონისძიებათა გატარება მოსწავლეებში კულტურული ჩვევების დანერგვისა და ცოდნის გაღრმავებისათვის, ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაცია, მოსწავლეთა ჩაბმა სკოლისა და კლასის საწრფო მუშაობაში, თვითშემოქმედებითი საღამოების ორგანიზაცია, კინო-სურათებისა და კინო-ლექციების მოწყობა, ღონისძიებანი მოსწავლეთა მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის მოსამზადებლად.

6. ორგანიზაციული მუშაობა,—მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგებისათვის ღონისძიებათა გატარება, მეოთხედური ანგარიშების შედგენა კლასის მიხედვით.

კლასის ხელმძღვანელი გეგმას ადგენს ყოველ მეოთხედის დასაწყისამდე და უდგენს დასამტკიცებლად დირექტორს. გეგმა შეიძლება ჩამოყალიბებული იქნეს შემდეგი ფორმით:

№№ რიგზე	შესასრულებელი საკითხები	ვადა		შენიშვნა:
		დაწყ.	დამთ.	
I				
1				
2				
3				
ა. შ.				
11				
ა. შ.				

VI. მასწავლებლის მუშაობის გეგმის სტრუქტურა, შინაარსი და ფორმა.

საგნის პროგრამის, სპეციალურ და მეთოდურ ლიტერატურის შესწავლისა და სკოლის საერთო გეგმის საფუძველზე, მასწავლებელი წინა სასწავლო წლის გამოცდილებისა, მოსწავლეთა მომზადების დონისა და სკოლის მუშაობის პირობების გათვალისწინებით ადგენს წლიურ კალენდარულ გეგმას, სასწავლო საგნისა და კლასის მიხედვით. მასწავლებლის მუშაობის აგეგმვის ძირითად ამოცანას შეადგენს გეგმაშეწონილად განახორციელოს მან ღონისძიებანი პროგრამის მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის და მიაღწიოს მოსწავლეთა აკადემიურ წარმატების მაღალ მაჩვენებლებს, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ ხარისხს.

საგნის წლიური კალენდარული გეგმის საერთო სტრუქტურა ძირითადად წარმოადგენილი უნდა იქნეს შემდეგი სახით:

1. პროგრამული თემების დასახელება.
2. საჭირო საათების რაოდენობა თემის დამუშავებისათვის.
3. ვადა (დაწყება-დამთავრება).
4. ექსკურსიები.
5. სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, ძირითადი დიდაქტიკური ხელსაწყოები.

უმჯობესია გეგმის გაფორმება სვეტების მიხედვით, რადგან ის მეტს შესაძლებლობას იძლევა სწრაფი ორიენტირებისათვის.

ასე, მაგ.:

სკოლა . . . . . .
საგანი . . . . . .
მასწ. . . . . .
კლასის სამუშაო გეგმა 194 . . . წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	თემის დასახელება მეოთხედების მიხედვით	საჭირო საათების რაოდენობა	ვადა		ექსკურსია		საჭირო სახელმძღვანელოები ხელსაწყოები	მ ესრულების აღნიშნვა	შ ე ნ ი შ ვ ნ ა:
			დაწყ.	დამთავრ.	ს ა დ	როდის			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
I II III	პირველი მეოთხედი მეორე მეოთხედი								

1-ლ სვეტში იწერება ნომერი რიგზე, მე-2 სვეტში საგნის ოფიციალური პროგრამით მოცემული თემები ან მისი მთავარი ნაწილები (სასწავლო მეოთხედების მიხედვით). მე-3 სვეტში — ამ თემის დამუშავებისათვის საჭირო დრო (მოცემულია თვით პროგრამაში) მე-4-5 სვეტში თემის დამუშავების დაწყება და დამთავრება (გამოიანგარიშება თემისათვის განკუთვნილი საათების სასწავლო გეგმასთან შეფარდებით), მე-6-7 სვეტში—სად ეწყობა ექსკურსია (თუ ეს საჭიროა) და როდის, მე-8 სვეტში ცალკე თემის გასწვრივ აღინიშნება სახელმძღვანელო და ლიტერატურა და აგრეთვე აუცილებელი დიდაქტიკური ხელსაწყოები, მე-9 სვეტში იწერება გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

მასწავლებელი გეგმას ადგენს ყოველი კლასისა და საგნის მიხედვით, უდგენს სასწავლო ნაწილის გამგეს, რომელიც თავის მხრივ განხილვისა და სათანადო შესწორების (როცა ეს საჭირო იქნება) შემდეგ, დასამტკიცებლად უდგენს დირექტორს ორ ცალად. ერთი ცალი დირექტორის ხელმოწერით უბრუნდება მასწავლებელს სახელმძღვანელოდ, 4-5 დღით ადრე ამ გეგმით მუშაობის დაწყებამდე.

მასწავლებელი ოფიციალური პროგრამისა და წლიური სამუშაო გეგმის საფუძველზე ადგენს სამუშაო გეგმას თემის მიხედვით, თემატიკურ გეგმას. ამ შემთხვევაში გეგმის შესრულების ხანგრძლივობას განსაზღვრავს ის, თუ რამდენი საათია გათვალისწინებული თემის დამუშავებისათვის და ამ საგანს რამდენი საათი აქვს დათმობილი სასწავლო გეგმით. ამიტომაც თემის მიხედვით შედგენილი გეგმა ზოგ შემთხვევაში ორ შვიდდღიურზე, ზოგჯერ 3 და მეტ შვიდდღიურზე იქნება გათვალისწინებული. ასე, მაგ., თუ თემას ისტორიიდან დათმობილი აქვს 10 საათი, ხოლო ამ საგანს სასწავლო გეგმით 4 საათი ეძლევა შვიდდღიურში, მაშინ თემა იქნება 2 ½ შვიდდღიურისათვის და ა. შ. როცა თემა აღემატება 6-7 შვიდდღიურს, სასურველია იგი გაიყოს თემის ორ შემადგენელ ნაწილად და ამის მიხედვით შემცირდეს სამუშაო გეგმის ვადაც. რამდენად მოკლე დროისათვისაა გათვალისწინებული გეგმა (დაახლ. 2-3 შვიდდღიური), მით უფრო უადვილდება მასწავლებელს მისი ზუსტად შედგენა და დამუშავების ხარისხიც უკეთესი იქნება.

თემის მიხედვით მასწავლებლის მუშაობის აგეგმვა არ შეიძლება რაღაც უცვლელი სტანდარტული სტრუქტურისა და ფორმის მიხედვით. იგი, სხვადასხვა საგანში და თვით საგნის სხვადასხვა მასალის გამო, შეიძლება შეიცვალოს. ძირითადად კი, ამ გეგმის სტრუქტურული ნაწილები დაახლოვებით შემდეგი სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

1. გაკვეთილის თემები (დაახლოვებით იმდენი გაკვ. თემა იქნება. რამდენიც საათი აქვს დათმობილი თემას. უკანასკნელი 1-2 საათი შეიძლება მოხმარდეს გამეორებას).
2. გაკვეთილის ჩატარების დრო.
3. სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, დიდაქტიკური ხელსაწყოები.

გეგმის გაფორმება შეიძლება დაახლოებით შემდეგი სახით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____ სკოლის _____ კლასის _____ საგანი

მასწავლებელი _____ სამუშაო გეგმა _____

თემა _____ „ „ საათი

დაწყება 194 ____ წ. _____ თვის _____ რიცხვში

დამთავრება 194 ____ წ. _____ თვის _____ რიცხვში

№№ რიგზე	გაკვეთილის თემის დასახელება	თვე და რიცხვი	სახელმძღვ. დამხმ. ლიტ-რა, დიდაქტიკური ხელსაწყ.	შესრულება

გეგმა დგება 3-4 დღით ადრე (ერთ ცალად) მოცემული თემის სწავლების დაწყებამდე.

თემატიკური გეგმის განხილვა—დამტკიცება დირექტორის ან სასწ. ნაწ. გამგის მხრივ არ არის სავალდებულო. მასწავლებლის მუშაობის შემოწმებასთან დაკავშირებით, დირექტორი და სასწ. ნაწ. გამგე სისტემატ. ამოწმებენ თემატიკ. გეგმას, მის ხარისხს, მის შესრულებას და ა. შ.

ოფიციალურ პროგრამასა და თემატიკურ გეგმაზე დაყრდნობით, სპეციალური და მეთოდური ლიტერატურის, სახელმძღვანელოების და სხვათა გამოყენებით (მათი ღრმად შესწავლის საფუძველზე) მასწავლებელი, თითოეული გაკვეთილის თემის მიხედვით ადგენს ყოველი გაკვეთილის გეგმას კლასებისა და საგნების მიხედვით (ზოგჯერ გეგმის ამ სახეს შეცდომით „დღიურს“ ეძახიან, „დღიური“ მომხდარის, განვლილის ფიქსაცია—აღწერაა და არა შესასრულებელი გეგმა).

გაკვეთილი სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა და მის სწორად აგებისა და ჩატარებისაგან არის ძირითადად დამოკიდებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ხარისხის მიღწევა. ამიტომ, გაკვეთილის გეგმა განსაკუთრებით ზედმიწევნით მოფიქრებულად უნდა იქნეს შედგენილი.

გაკვეთილის გეგმის სტრუქტურა და ფორმა დამოკიდებულია გაკვეთილის შინაარსის სპეციფიკისაგან. ამიტომ, ყველა სასწავლო დისციპლინებში მასწავლებლებისათვის რაიმე საერთო სტანდარტული სქემის მიცემა შეუძლებელია. ყოველი გაკვეთილის აგეგმვისათვის მთავარია, რომ მასწავლებელმა ზუსტად განსაზღვროს გაკვეთილის თემა, განსაზღვროს მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტები როგორც შინაარსის, ისე მისი დამუშავების მხრივ, მოიფიქროს და განსაზღვროს გაკვეთილზე გამოსაყენებელი მეთოდები, წინასწარ ჩამოაყალიბოს ძირითადი კითხვები მოსწავლეებისადმი, გაითვალისწინოს ცდების დაყენება, სავარჯიშო მასალა, აღმზრდელობითი მომენტები გაკვეთილზე, წინაგაკვეთილების და საშინაო დავალებათა შემოწმება, გაკვეთილის დასკვნითი ნაწილი, საშინაო დავალებანი და სხვ. მასწავლებელმა გაკვეთილის გეგმა უნდა ჩასწეროს სუფთად, სპეციალურად იმისათვის განკუთვნილ რვეულში. გეგმა უნდა იყოს მოკლე და ოპერატული.

გაკვეთილის გეგმის წარდგენა დირექტორისათვის ან სასწავლო ნაწილში მისი მოადგილისათვის არაა საჭირო. დირექტორმა და მისმა მოადგილემ დროგამოშვებით უნდა შეამოწმონ და მისცენ სათანადო მითითება მასწავლებელს გაკვეთილის სწორად აგებისათვის. უგეგმოდ მასწავლებლის შესვლა გაკვეთილზე, რაგინდ გამოცდილი მასწავლებელი იყოს იგი, დაუშვებელია.

VII. გეგმების შესრულების შემოწმება

ყოველგვარი გეგმა, რაგინდ საუკეთესოდ იყოს იგი შედგენილი, დარჩება მხოლოდ

ცარიელ, ფორმალურ დოკუმენტად, თუ სისტემატურად არ ხდება მისი შესრულების შემოწმება და კონტროლი. ამიტომაცაა, რომ გეგმის შესრულების შემოწმება და კონტროლი არის ხელმძღვანელობის ძირითადი საშუალება, გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის მთავარი და არსებითი საშუალებათაგანი.

შესრულების შემოწმება უნდა მიმდინარეობდეს ორი გზით: სისტემატური მიმდინარე თვითშემოწმების გზით, როცა თითოეული მუშაკი (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი და სხვ.) სისტემატურად, ყოველდღიურად გზადაგზა აწარმოებს თავის მუშაობის შემოწმებას გეგმის შესრულების თვალსაზრისით, ახდენს საამისო ფიქსაციას გეგმის სპეციალურ სვეტში, მეოთხედისა და წლის მიხედვით, სისტემაში მოყავს თავის მუშაობის შედეგები, — აჯამებს მას და წერილობით ანგარიშს უდგენს ხელმძღვანელ მუშაკებს და ორგანიზაციებს, და მეორე, შესრულების სისტემატური შემოწმების, კონტროლის გზით, რომელსაც ანხორციელებენ ხელმძღვანელი ორგანოები, პირველ რიგში, თვით სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო ნაწილში.

სკოლის დირექტორს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის არის სახელმწიფოებრივი კონტროლის წარმომადგენელი ადგილზე, რომ შესრულების შემოწმებისა და კონტროლის საქმეს იგი უნდა ეკიდებოდეს ნამდვილი ბოლშევიკური სიფხიზლით, საღი კრიტიკის და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით, უნდა ამყოვანებდეს სკოლის ყველა ნაკლს მუშაობაში და დაუყოვნებლივ ატარებდეს ღონისძიებებს ყოველგვარ ნაკლთა აღმოფხვრისათვის. მხოლოდ ასეთ პირობებში გაამართლებს გეგმა თავის დანიშნულებას.

VIII. ბეგმის მოვლა და დაცვა.

იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევა, როცა სკოლაში შეუძლებელი ხდება მარტო მასწავლებლების, მოსწავლეთა ორგანიზაციებისა და სხვ. განვლილ წლების სამუშაო გეგმების მონახვა, არამედ შეუძლებელი ხდება თვით წინა სასწავლო წლის საერთო სასკოლო გეგმის პოვნაც კი. ასევე არაიშვიათია, როცა გეგმებს არასერიოზულად ეკიდებიან, ვერ პოულობენ გეგმის შესანახ ადგილს, დაუდევრობას იჩენენ მათი მოვლისადმი და სხვ. ყოველივე ეს ცხადყოფს გეგმიანობის მნიშვნელობის შეუფასებლობას.

სკოლის დირექტორი და სკოლის ყველა მუშაკი მთელი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ გეგმების მოვლისა და დაცვის საქმეს. გეგმები სუფთად და წესიერად უნდა ინახებოდეს გარკვეულ ადგილას. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექტორმა სისტემაში უნდა მოიყვანოს ყველა სამუშაო გეგმა, — საერთო სასკოლო, დირექტორის, დირექტორის მოადგილის, მასწავლებლის, მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების, მშობელთა კომიტეტის და სხვ., აღწეროს იგი, დანომროს თითოეული მათგანი და ყდაში ჩასმული (ცალკე დარგების მიხედვით) გადასცეს სასკოლო არქივს იმგვარად, რომ არა მარტო 1-2 წლის შემდეგ, არამედ ყოველ დროს, სხვა სასკოლო დოკუმენტებთან ერთად (მოსწავლეთა პირადი საქმეები, მასწავლებელთა პირადი საქმეები, წერილობითი საანგარიშო მოხსენებანი, მოსწავლეთა ნამუშევრები და სხვ.), ადვილად შეიძლებოდეს სკოლის სამუშაო გეგმების ნახვა-გამოყენება საჭირო შემთხვევაში.

საქ. სსრ განსახკომის დაწყებითი და
საშუალო სკოლის სამმართველო

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია — პ/მგ. მდივანი ხ. ცაიშვილი

გადაეცა წარმოებას 23/V 40 წ — ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VII 1940 წ.
მთავლიტის რწმუნებულის № ბ—1787 — შეკვეთის № 1537 — ტირაჟი - 5.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პრ. № 36.